საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

პროექტის მიზანი

მაღალი დონის აღგილობრივი პროფესიონალების აღზრდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში მოღვაწე ქართველი პროფესიონალთა დახმარებით

პრობლემები

მსოფლიოს მასშტაბით გაფანტული ქართული ინტელექტუალური კაპიტალის შეკრება და სამშობლოსთან კავშირის აღდგენა

საქართველოში არსებული ახალგაზრდა კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

წარჩინებული ქართველი მეცნიერების მაგალითით ახალგაზრდა მეცნიერების, მკვლევარებისა და სტუდენტების მოტივირება.

პროექტის არსი

"საქართველოდან საქართველოში" არის იუსტიციის სამინისტროს პროექტი, რომელიც მოიცავს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში მოღვაწე ქართველი ლექტორების ერთ ან რამოდენიმე ინტენსიურ შეხვედრას ღია საჯარო ლექციის ფორმატში.

პროექტით გათვალისწინებული ლექციები მოეწყობა იუსტიციის სამინადმინისტრაციულ შენობაში და საქართველოს იუსტიციის სახლებში.

რა არის პროექტის იდეა?

90-იანი წლებიდან დაიწყო საქართველოში მყოფი მაღალკვალიფიციური შრომითი უნარისა და ინტელექტუალური კაპიტალის მძლავრი პირების მასიური გასვლა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. რომელსაც მეცნიერი ტოვებს სამშობლოს და სამუშაოდ მიდის უცხო ქვეყანაში, იკარგება ერის ინტელექტუალური კაპიტალი და რესურსი. ამასთან, ეს პროცესი იწვევს კრიტიკულ პრობლემებს ქვეყნის სამომავლო განვითარებისას ახალი თაობის აღზრდის კუთხით.

თუმცა, მეორეს მხრივ, განვითარებულ ქვეყნებში მასულ მეცნიერებს მიეცათ საშუალება გაცნობიერდნენ მეცნიერების თანამედროვე სტანდარტებსა და საერთაშორისო გამოცდილებას, შესაბამისად, ჩამოყალიბებულიყვნენ მაღალი დონის პროფესიონალებად. ჩვენი პროექტის მიზანი კი არის სწორედ ის, რომ თანამემამულეთა პროფესიონალიზმი და გამოცდილება მოვახმაროთ ახალი თაობის აღზრდას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მოსალოდნელი შედეგები

პროექტში მონაწილეობის შედეგად სტუდენტები შეძლებენ ემიგრირებული ქართველი პროფესიონალების დახმარებით დარგში დაგროვებული ცოდნის მიღებას, პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას. ამასთან, სტუდენტებს მიეცემათ საშუალება გაეცნონ მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებს. მეორეს მხრივ, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი პროფესორები საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, უნივერსიტეტებთან და სტუდენტებთან კავშირის დამყარებით მოახდენენ სამშობლოსთან კავშირის აღდგენას.

პროექტს ორგანიზებას უწევს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა საორგანიზაციო ჯგუფი. სტუდენტებისათვის მასში მონაწილეობა იქნება უფასო, ხოლო მონაწილეთა შერჩევა მოხდება სამოტივაციო წერილის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო ფორმის ბმული:

https://docs.google.com/spreadsheet/viewform?pli=1&formkey=dEpOdmw1VXdzdDZIeDFrdDIyaUR4WWc6MQ#gid=0

Facebook გვერდის ბმული:

https://www.facebook.com/SakartvelodanSakartveloshifromGeorgiaToGeorgia

გისურვებთ წარმატებას!

გორგასლის ქ. 24ა
თბილისი, 0133
საქართველო

ტელ: (955 577) 111 961
(995 322) 405 010
ელ-ფოსტა: intellect@justice.gov.ge